ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

KA990106209145320

№ **01-24-01** **29 / იანვარი / 2020 წ.**

ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიციირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის № 654 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნეს დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები, ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებაში განსახორციელებელი (დასაფინანასებელი) პროექტ(ებ)ის შერჩევა.

4. დასახლების საერთო კრების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების წარმართვისა და სხდომის თავმჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვროს შესაბამისი დასახლების საერთო კრების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების გამართვამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან, ყოველდღე (გარდა დასვენების ან უქმე დღეებისა), 09:00 საათიდან 18:00 საათამდე და დასრულდეს შესაბამის დასახლებაში დასახლების საერთო კრების (ამომრჩევლებთან კონსულტაციის) გამართვის თარიღამდე 3 (სამი) დღით ადრე.

6. დაევალოთ:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს - საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებით მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე ამ ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთა საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ვარაზ გაბედავა

ინფორმაცია ხობის მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი დასახლებების საერთო კრებებისა და კონსულტაციების შესახებ

№	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	დასახლების სახელწოდება	დასახლების საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1	ახალსოფელი	ახალსოფელი	17.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
2		განთიადი			0
3		გაღმა პირველი ხორგა	17.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
4	ახალი ხიბულა	ახალი ხიბულა	19.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
5		გაშფერდი	19.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
6		ზუბი	19.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
7	ბია	ბია	18.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
8		ბია-საშონიო	18.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
9		ზემო ბია	18.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
10	გურიფული	პირველი გურიფული	14.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
11		მეორე გურიფული	14.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
12	ზემო ქვალონი	ზემო ქვალონი	18.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
13		საალანიო-საფაჩულიო	18.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
14		სახოჭოლავო	18.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
15	თორსა-დღვაბა	თორსა	13.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
16		დღვაბა	13.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
17		საბუკიო	13.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
18	ნოჯიხევი	ნოჯიხევი	18.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
19		დასახლება	18.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
20		ზენი	18.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
21		კუთხენოჯიხევი	18.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
22		ნაფოშტუ	18.02.2020 წ.; 14:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
23	პატარა ფოთი	პატარა ფოთი	17.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
24	პირველი მაისი	ბულიწყუ	14.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
25		საკვიკვინიო	14.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
26		ჭიხუ	14.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000

27	პირველი ხორგა	გამოღმა პირველი ხორგა	14.02.2020 წ.; 13:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
28	საგვიჩიო	სოფელი საგვიჩიო	17.02.2020 წ.; 13:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
29	საჯიჯაო	ზენი	19.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	20 000
30		გაღმა საჯიჯაო	19.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
31		ზუბი	19.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
32		ჯაპიშაქარი	19.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
33	ქარიატა	გაღმა ქარიატა	14.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
34		გამოღმა ქარიატა	14.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
35	ქვემო ქვალონი	გიმოზგონჯილი	17.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
36		ბულიში	17.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
37		გვიმარონი	18.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
38		დურღენა	17.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
39		ჭითაუშქური	18.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
40	ყულევი	ყულევი	14.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
41	შავღელე	შავღელე	17.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
42	შუა ხორგა	გაღმა შუა ხორგა	14.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
43		გამოღმა შუა ხორგა	14.02.2020 წ.; 12:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
44		ყორათი	14.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
45	ძველი ხიბულა	ძველი ხიბულა	19.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
46	ჭალადიდი	საბაჟო	17.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	20 000
47		საქორქიო	17.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	10 000
48		საღვამიჩავო	17.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
49		საჭოჭუო	17.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
50	ხამისკური	ხამისკური	13.02.2020 წ.; 11:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
51		საკუკავო	13.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
52		საქირიო	13.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	16 000
53	ხეთა	ლარჩვა	13.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	20 000
54		ნოჩხონი	13.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
55		ოხვამეკარი	13.02.2020 წ.; 13:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000
56		წინაგოლა	13.02.2020 წ.; 11:00 სთ.	კონსულტაცია	16 000
57		ხეთა	13.02.2020 წ.; 12:00 სთ.	საერთო კრების სხდომა	12 000